



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 29 დეკემბერი, 2016 წელი

დრო: 12:00 – 14:00 საათი

შეხვედრის ადგილი: პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლის: „მეგობრობის ხიდი ქართლოსი“-ს ოფისი; ქ. გორი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
2. ლია თოდუა - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
3. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
4. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერჯო- რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
5. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კავკასიის ეკოლოგია
6. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა

მოწვეული სტუმარები:

7. ნინო ხუხუა - საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენელი იმერეთის მხარეში, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო, საქართველო
8. არინა თავაქარაშვილი- საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენელი შიდა ქართლში, მეგობრობის ხიდი ქართლოსი
9. მეგი ბიბილური - მეგობრობის ხიდი ქართლოსი, თავმჯდომარე
10. ლევან გეგეშიძე - მეგობრობის ხიდი ქართლოსი

განსახილველი საკითხები:

- ✚ საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალური წარმომადგენლობები; რეგიონალური ჩართულობა;
- ✚ პლატფორმის წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და წინადადებების განხილვა;
- ✚ 2017 წლის პლატფორმის მუშაობის პრიორიტეტები;
- ✚ სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საკოორდინაციო საბჭომ მოისმინა საქართველოს ეროვნული პლატფორმის შიდა ქართლის რეგიონალური წარმომადგენლის, ქალბატონი არინა თავაქარაშვილის პრეზენტაცია მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ქალაქ კასპში, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში ჩატარებულ შეხვედრებზე.

მეგობრობის ხიდი ქართლოსის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მეგი ბიბილურმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის პოპულარიზაცია სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ლექციების იქ ჩატარების გზით. საბჭომ დიდი ინტერესი გამოხატა ხელი შეუწყოს ამ პროცესებს.

შემდეგ საკითხად, საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგიონალურმა წარმომადგენლმა იმერეთის მხარეში, ქალბატონმა ნინო ხუხუამ, ისაუბრა პლატფორმის სახელით ჩატარებული აქტივობების შესახებ. მან ასევე გამოთქვა სურვილი წინასწარ გაიწეროს რეგიონალური წარმომადგენლების სამოქმედო გეგმა. ასევე, სასურველია ეს გეგმა იყოს შეჯერებული და საერთო ყველა რეგიონალური წარმომადგენლისთვის, რა თქმა უნდა, მორგებული კონკრეტული რეგიონის საჭიროებას. ქალბატონმა ნინომ ასევე ისაუბრა ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მექანიზმებზე, მათ შორის მემორანდუმების გაფორმების გზით, რომელსაც, მეტი ეფექტიანობისთვის, დაერთვება კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სადაც გაიწერება კონკრეტული ვალდებულებები.

მან, ასევე, წარადგინა ინიციატივა, პლატფორმამ ორგანიზება გაუწიოს დონორთა კონფერენციას რეგიონში, სადაც დონორები მოისმენენ რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებს, თუ რა პრობლემებია რეგიონში, თავად რა ინიციატივები აქვთ და რა მიმართულებით არის

მუშაობა გასაუმჯობესებელი. დონორები კი ნათლად დაინახავენ სად არის თანხების მიმართვის საჭიროება და გააჟღერებენ საკუთარ პოზიციებს. მისი თქმით, ამ კონფერენციით ხელი შეეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორების კომუნიკაციის გაუმჯობესებას, რაც ერთგვარი შანსია მათი აქტივობების დასაფინანსებლად. თავის მხრივ, კი ეს იქნება დიდი მხარდაჭერა, პლატფორმის მხრიდან, წვერი ორგანიზაციებისთვის.

შეხვედრაზე ასევე გამოითქვა მოსაზრება, მომზადდეს პერიოდულად განახლებადი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება ყველა წვერი ორგანიზაციის პროფილი, მათი ხედვები, სტრატეგიები, განხორციელებული საქმიანობები და მიმდინარე პროექტები.

საბჭოსთან ერთად, რეგიონალურმა წარმომადგენლებმა იმსჯელეს იმ პრობლემებზე, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები აწყდებიან რეგიონში. მათ შორის, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა:

- ✚ ფინანსურის მხარდაჭერის პრობლემა;
- ✚ ორგანიზაციის თანამშრომელთა/კადრების გადინება;
- ✚ სამოქალაქო აქტივიზმის ნაკლებობა;

პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია რეგიონალური ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება ტრენინგებისა და კვლევებში მონაწილეობის გზით. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული პლატფორმის სტრატეგიაა, მოიზიდოს მეტი რეგიონალური ორგანიზაცია და უზრუნველყოს მათი აქტიური ჩართულობა პლატფორმის საქმიანობაში.

შეხვედრაზე ასევე გამოითქვა სურვილი, იანვრის მეორე ნახევარში დაიგეგმოს შეხვედრა ქალაქ ქუთაისში, სადაც საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლები შეხვდებიან იმერეთსა და სამეგრელოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა